მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი (ადარი) 15-29 №3 (361) (5772) 2012

"מנורה" עיתון יהודי בגורגיה

ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲝᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲔᲞᲝᲥᲐᲨᲘ

ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲧᲝᲤᲐ

7 თებერვალს, ისრაელში, უკანონო ფორპოსტების ლიკვიდაციის მოწინააღმდეგეებმა, იერუსალიმში ორი ექსტრემისტული აქცია განახორციელეს, სახელწოდებით „ტაგ მეხირ“. კერძოდ, მემარჯვენე რადიკალებმა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი შეურაცხყვეს.

მემარჯვენე რადიკალებმა, კედლებზე, რომელიც კომპლექსის სიახლოვეს მდებარეობს, ქრისტიანებისათვის შეურაცხმყოფელი წარწერები გააკეთეს, მათ შორის იესო ქრისტეს შესახებაც. სხვა წარწერები კი, საზოგადოებას მაკავეების ბერძნებზე ისტორიულ გამარჯვებას ახსენებდა, რომელიც ელინური ჰეგემონიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მოხდა, ქრისტეს შობამდე 160 წლის წინ.

მემარჯვენე ექსტრემისტებმა, წარწერები, ასევე, დატოვეს იერუსალიმში ერთადერთი სკოლის კედლებზეც, სადაც ივრითთან ერთად, სწავლა არაბულ ენაზეც მიმდინარეობს.

როგორც ცნობილია, ჯვრის მონასტერი ქართველმა მოღვაწემ, გიორგი-პროხორე შავთელმა დაარსა, საქართველოს სამეფო კარის მხარდაჭერით, XI საუკუნის 30-50-იან წლებში.

1071 წელს, იერუსალიმის აღებისას, მონასტერი დაარბიეს თურქ-სელჩუკებმა. XII საუკუნის დამდეგს, ძეგლი, მეფე დავით IV აღმაშენებლის მხარდაჭერით აღადგინეს, განაახლეს და მოხატეს. 1272 წელს მონასტერი ჩამოერთვათ ქართველებს და მეჩეთად გადაკეთდა. 1305 წელს, მეფე დავით VIII-ის მცდელობით იგი კვლავ ქართველებს დაუბრუნდა. 1400 წელს ჯვრის მონასტერი კვლავ დაარბიეს.

XVII საუკუნის 40-იან წლებში, აქ დიდი აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა (ნიკიფორე ირბახი). მოგვიანებით, აქ ქართველთა გავლენა თანდათან შესუსტდა და ბოლოს, XVII საუკუნის დასასრულს, ჯვრის მონასტერი, სხვა ქართულ სავანეებთან ერთად, ბერძენთა ხელში გადავიდა და იერუსალიმის საპატრიარქოს დაექვემდებარა.

როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, დაუდგენელ გარემოებებში, ექსტრემისტებმა ძალადობრივი აქტი ერთხელ უკვე განახორციელეს: მათ შოთა რუსთაველის ფრესკა ჩამოფხიკეს და გაანადგურეს.

რედაქციისგან: მოხდა ამაზრზენი ფაქტი. ასეთი რამ არა მხოლოდ დასაგმობი და გასაკიცხია, იურიდიულად განსასჯელიც. ვანდალიზმის მოთავემ თუ მონაწილემ — უნდა ზღოს დანაშაულისამებრ.

„მენორას“ უჩნდება ეჭვი, რომ საქმე ისე არ უნდა იყოს, როგორც ინფორმაციას გვაწვდიან:

1. ვანდალური აქტის მომდევნო დღეს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ეს ვანდალიზმი ჩაიდინეს მემარჯვენე რადიკალურმა წრეებმა. ეს წრეები ისრაელის ხელისუფლებას ბევრ თავსატეხს უჩენენ, მაგრამ ნუთუ, ასე უცებ დადგინდა, რომ დანაშაული სწორედ მათ ჩაიდინეს? ასე უცებ ჩატარდა გამოძიება? და თუ მყისვე გაირკვა ყველაფერი, ორიოდ დღეში დამნაშავეთა დაკავებას უნდა ველოდოთ, მაგრამ ვანდალიზმის დღიდან ორი კვირაც გავიდა. ჯერ არავინ დაუკავებიათ.

2. დააკვირდით: საქართველოს უზენაეს პირთა ისრაელში ვიზიტის წინ ჯვრის მონასტრის ირგვლივ რაღაც ხდება. ასე იყო 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნ მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტის წინ. ახლა კი, ისრაელს მიემგზავრება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ჯვრის მონასტერში ვანდალური აქტები ასე რატომ ემთხვევა საქართველოს უზენაესი პირების ისრაელში ვიზიტს?

3. ვანდალებმა დატოვეს წარწერები. ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებულია მაქაბელთა ბრძოლა ბერძენ ასიმილატორებთან და ელინური კულტურის პროპაგანდისტთა დამარცხება მაქაბელების მიერ. ეს იმას მიანიშნებს, რომ ვანდალიზმი მიმართულია არა ქართული ძეგლის, არამედ ბერძნული ეკლესიის ექსპანსიის წინააღმდეგ.

ჩვენ კითხვებს ვსვამთ. პასუხს დრო და გამოძიება გაგვცემს.

P.S. ᲕᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ: ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲬᲠᲔᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲡᲪᲔᲜ, ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲜᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲚᲢᲝ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲒᲔᲑᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ.

ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲡᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

საქართველოში, ისრაელის საელჩოსთან ასაფეთქებელი ნივთიერება აღმოაჩინეს. აღნიშნული ინფორმაცია შსს-ს ადმინისტრაციის უფროსმა, შოთა ხიზანიშვილმა დაადასტურა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ხიზანიშვილმა განუცხადა, ასაფეთქებელი ნივთიერება ისრაელის საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომლის ავტომანქანაში აღმოჩნდა.

„ეს პირი ისრაელის საელჩოში მუშაობს მძღოლად და საქართველოს მოქალაქეა. მის პირად ავტომანქანაში აღმოჩნდა ასაფეთქებელი, მაგრამ დროულად იქნა გაუვნებელყოფილი და არაფერი მომხდარა. ეს არის ფაქტი, თუმცა, რას უკავშირდება ჯერჯერობით არ ვიცით“, - აღნიშნა ხიზანიშვილმა. მისივე ცნობით, შემთხვევა, დაახლოებით, 15:00 საათზე მოხდა.

ინფორმაცია თბილისსა და ინდოეთის დედაქალაქ დელიში ისრაელის საელჩოების აფეთქების მცდელობის შესახებ ტელეკომპანია „BBC“-მ გაავრცელა.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა ინდოეთის დედაქალაქ ნიუ-დელიშიც, სადაც ისრაელის საელჩოს კუთვნილ ავტომობილში ბომბი აფეთქდა. როგორც ინდოეთში ებრაული დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი დავიდ გოლდფარბი აცხადებს, საელჩოს შენობის გვერდით აფეთქება მოხდა, რომლის შედეგად საელჩოს კუთვნილი ავტომობილი დაიწვა. აფეთქების შედეგად ერთი ქალი დაშავდა, მისი ვინაობა უცნობია. სხვა ვერსიით, ინდოეთში მომხდარი აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა, მათ შორის ებრაელი დიპლომატის მეუღლე. მან საშუალო სიმძიმის ჭრილობები მიიღო.

ებრაული სპეცსამსახურები ინციდენტებს ტერაქტების მცდელობად აფასებენ. მათი ვარაუდით, ეს „ჰეზბოლას“ მორიგი გზავნილია, რომელიც ორგანიზაციის დაზვერვის უფროსის, იმად მუგნიას ლიკვიდაციის გამო შურისძიებას ცდილობს. „ჰეზბოლას“ დაზვერვის უფროსის ავტომობილი 2008 წლის 12 თებერვალს დამასკოს გარეუბანში ააფეთქეს.

ამ თემაზე მასალები იხილეთ მე-4 გვერდზე

ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲘᲠᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ისრაელელი ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი ასპონსორებს ამერიკული ებრაული ინსტიტუტის მოღვაწეობის გაფართოებას ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ებრაული საგანმანათლებლო კურსები გაიხსნება რუსეთში, უკრაინაში, ბელარუსში, საქართველოსა და ესტონეთში.

ახალი ებრაული განათლების კურსები — „გზად გათვითცნობიერებული ცხოვრებისაკენ“ ახლო მომავალში გაიხსნება. მათ სათავეში ჩაუდგებიან ბრუკლინში მდებარე ებრაული ინსტიტუტის — The Rohr Jewish Learning Institute (JLI) წარმომადგენლები. ისინი გამოიყენებენ ახალ მეთოდიკას, რომელიც რუსულენოვანი აუდიტორიისთვისაა განკუთვნილი.

როგორც გამოცემა Shturem.net იტყობინება, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ებრაული განათლების გაფართოება ინიცირებული იყო დსთ-ს ქვეყნების ებრაული სათემოების ფედერაციის და რუსეთის მთავარი რაბინის ბერლ ლაზარის მიერ, მის დაფინანსებაში კი მონაწილეობა მიიღო ისრაელელმა ბიზნესმენმა მიხეილ მირილაშვილმა. JLI–ის წარმომადგენელ რაბინის — მოშე კოტლიარსკის სიტყვებით, ეს საგანმანათლებლო პროექტი, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ებრაული განათლების გავრცელების მომდევნო ნაბიჯი გახდება.

The Rohr Jewish Learning Institute მსოფლიოს 19 ქვეყანაში აქვს ფილიალები. სამასზე მეტ კურსზე 50 ათასი ებრაელი სწავლობს. ისინი სწავლობენ თორას, თალმუდს, ებრაელი ხალხის ისტორიას, ჰოლოკოსტის ისტორიას და ისრაელს, ასევე მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ტრენინგები. (Izrus)

ახალციხელების ლოცვა შთამომავალთა ხელში



ლოცვა ც/არიელია

წერილი მეექვსე

შოთა ბოსტანაშვილი

ვის იბრძვიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ ერთმანეთის დაკნინების ხარჯზე მცხეთის მამასახლისთან თავის გამოსაჩენად, მთავარი ებრაელის სახელის მოსაპოვებლად. დღეს, ჩვენში, გალუთის „უკანასკნელი ებრაელების“ ერთი ნაწილის საქციელი — საგაზეთო „კამათები“, გასარეცხი საცვლების ექსპლიკაციას რომ დაემსგავსა (მითუმეტეს, როცა ამ უაზრო კამათში გარეშენიც ჩართეს!) — სწორედ ამას მაფიქრებინებს. დღეს, სწორედ რომ ანალოგიურ სიტუაციაში, გახდა შესაძლებელი ის „გადატრიალება“, რაც ახალციხელების ლოცვაში მოხდა (ჯერ ექვსი თვის წინ არჩეული გაბაის და მერე რაბინის გადაყენება), რასაც თვალს ვუხუჭავთ და მიამიტად ვკითხულობთ: „რა მოხდა სასტუმრო

„ახალციხელების ლოცვის“ მეორე სართულის დარბაზი სარემონტო ხარაჩოებში

ბაზალეთში?“. გალუთის ისტორიის ადრეული ხანა, რომლის შესახებ არაფერი ვიცით, დღევანდელობით შეიძლება ამოვიცნოთ: როგორც გავდივართ, ისე შემოვდიოდით; როგორც ვამთავრებთ, ისე ვიწყებდით იმ დღეებში ამ დროს. თორაც ამას გვასწავლის: დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს ხვდება, ერთიანდება. წინა, მეხუთე წერილში სწორედ ეს კანონზომიერება გავიხსენეთ და ისიც მოვნიშნეთ, რომ კანონი და ზომიერება ემთხვევა შემთხვევას და ისიც, რომ ყველა ამბავი თამაშია ენასა და ხდომილებას შორის. აქ, ამ წერილის სათაურად გამოტანილი სინტაგმა „ლოცვა ც/არიელია“ სწორედაც რომ თამაშის საფუძველზე აღმოცენდა. შემთხვევითი ენობრივი მსგავსებები (არიელი და ცარიელი) რომელიღაც კანონზომიერებაში იპოვის ადგილს. ასე მაგალითად: ლოცვა, როგორც რელიგიური სივრცე გაუფერულდა, „დაცარიელდა“ რაბი არიელ ლევინის გარეშე. ეს უფრო განცდაა, მაგრამ ფაქტია რომ არიელის მომხრეები „აშკენაზების ლოცვაში“ გადავიდნენ და „ახალციხელების ლოცვა“ „დაცარიელდა“; ან ასე: ლოცვა, როგორც რელიგიური აქტი არიელის — რაბინის პრეროგატივაა; უფრო მეტიც: *ლოცვა არიელია*. აქ უკვე ტოტალურ იდენტობასთან გვაქვს საქმე. თუ არიელს (ებრ. ლომი) მეტაფორათა სისტემაში მოვაქცევთ (ლომი — მეფე — ძლიერი — ...) ამით ავღნიშნავთ და გავაძლიერებთ ლოცვის რიტუალის მნიშვნელობას, მის ძალმოსილებას და მაგიურობას. ასეთი ინტერპრეტაციაც შეიძლება: ლოცვა რემონტშია, მის ერთ-ერთ დარბაზში ხარაჩოებია აღმართული, მას მლოცველები არ ავსებენ — ცარიელია; და რაც მთავარია: საქართველოში 22 ლოცვაა (შენობა), მათ შორის 18 ლოცვა მართლაც ცარიელია. აი, რამდენ წაკითხვას (ვერსიას) იტევს ერთი სინტაგმა „ლოცვა ც/არიელია“. ის, ერთის მხრივ, არიელის გადადგომით გამოწვეულ ნოსტალგიას ინახავს, ხოლო მეორეს მხრივ, ამ გადადგომის კანონზომიერებას უბამს მხარს, იმას, რომ ლოცვა „ცარიელი“ უნდა იყოს არიელისგან. ასევე შეიძლება წინა წერილის სათაური „მე — რაბი“ წავიკითხოთ როგორც წინამძღოლობის პრეტენზიის მქონე სუბიექტის — ***მე***ს განცხადება და ამავე სუბიექტის სახელი — მერაბი. ჩვენი წერილების კონტექსტიდან გამომდინარე ასეთი მერაბი გვარად ჩანჩალაშვილია, ვინც მართლაც აქტიური როლი შეასრულა რაბი არიელ ლევინის გადადგომაში. კარგია ეს თუ ცუდია, ამას ენა ერთმნიშვნელოვნად არ გამოხატავს. სწორედ ამაში მდგომარეობს ლინგვისტური თამაშების დემოკრატიულობა — რამდენიმე, და ზოგჯერ, ურთიერთგამომრიცხავი აზრის თანაბარუფლებიანობა. ვფიქრობ, ჩვენს მეოთხე წერილში დასმულ პრობლემასაც, თუ რა მოხდა ბაზალეთში, პასუხი გავეცით და მხსნელიც დავასახელეთ.

იქნება თუ არა მერაბ ჩანჩალაშვილი და მის მიერ შექმნილი „ქართველ ებრაელთა კავშირი“ ჩვენი „მხსნელი“, ეს ერთი საკითხია. აშკარაა, რომ სინაგოგა, როგორც ებრაელთა ტრადიციული ინსტიტუტი, ფერისცვალების გზას დაადგა. დღეს ლოცვა მართლაც „ცარიელია“. („სიცარიელე“ / „სისავსე“ ბინარიზმია — ფილოსოფიური პრობლემაა). ახლა ცარიელიდან არიელზე გადავიდეთ.

მე არიელ ლევინის თალმიდი ვარ და უფლება მაქვს ვთქვა (ანდა: უფლება არ მაქვს არ ვთქვა). თორის მოჭირნახულე თბილისელ ებრაელთა უფროსი თაობა რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილმა დააკვალიანა და ასკანის ქუჩამ შეაქუჩა, ხოლო ახალი თაობა არიელ ლევინმა გაანათლა და თუმანიანის ქუჩამ შეაქუჩა. მეც, როგორც ბევრმა ჩემმა თანატოლმა, *ებრაულის* გასაცნობად ასკანის ქუჩაზე ავიდგი ფეხი. მოხდა ისე, რომ რამდენჯერმე შევწყვიტე და ისევ გავაგრძელე თორის სწავლა. „ბოლო გაჩერება“ არიელ ლევინთან მომიხდა. ასე, რომ ჩემში ორივე ქუჩა შექუჩდა და ამ მხრივ, მგონი მარტო ვარ. არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლასთან ერთად ფილოსოფიის ლექციებს ვესწრებოდი უნივერსიტეტში. ჩემი სადოქტორო დისერტაცია კი არქიტექტურის ფილოსოფიას და ებრაული მატერიალური კულტურის ძეგლებს ეხებოდა. ამ წანამძღვარით მცირე უფლებას ვაძლევ ჩემს თავს, განვაცხადო, რომ რაბი არიელ ლევინი იმ რანგის ფილოსოფოსი და პრაქტიკოსია, ვისი ბადალი სხვაგანაც სანთლით საძებნელია. არიელ ლევინი ჩვენიანი, თბილისელი კაცია, აქაურ დიდ წინამძღოლთა უკანასკნელი მოჰიკანია, რომელსაც სხვა დრომ მოუსწრო და თავადაც ენერგიულად გაარღვია გალუთის ჰერმეტული რკალი; მეტი ისწავლა და მეტი გვასწავლა; კრიზისულ 90-იან წლებში მრავალი ახალგაზრდა ქუჩაში გაუჩინარებას გადაარჩინა და დიდი საზოგადოების წევრებად აქცია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დააბინავა. იმ პერიოდში მეც და ჩემზე უფროსებსაც გაგვიღო თავშესაფრის კარი და იმ „ვიწრო“ დროიდან „დიდ დროში“ გადაგვიყვანა. ეს კი ებრაული ისტორიაა (პერსონალური ჩართვის ადგილი) და არა ებრაელთა ისტორია (კოლექტიური ადგილი), წერილის დასაწყისში რომ ვახსენე. და ბოლოს (კიდევ ერთი გადახვევა): თბილისში აშკენაზების ლოცვის რეკონსტრუქციის პროექტი ყველა ნიშნით ჩემთვის უნდა დაეკვეთათ, მით უმეტეს, რომ მე თვითონ მივედი რაბინთან ამ თხოვნით, მაგრამ... ასე რომ მეც მქონდა წყენის მიზეზი. ამით იმის თქმა მინდა, რომ უნდა შეგვეძლოს პრობლემათა ხარისხობრივი გარჩევა და ბრაზის მოთოკვა. ნამდვილი მიზეზი კი, ალბათ გაირკვევა და აღმოჩნდება რომ ჩვენს რთულ ყოველდღიურობაში არც რაბინია ყველაფრის შემძლე. იქნებ, არ უნდა განვიხილოთ ეს გაუგებრობები ერთმანეთის ნაკლად ან სისუსტედ.

„ახალციხელების ლოცვის“ დღევანდელი ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი სხვა ისტორიიდან მოვიდა, ახლახანს გამოჩნდა ლოცვის კარზე. რა თქმა უნდა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ეს უკვე ***კარგია*** და ლოცვაც ***კარღია*** ხვდება მათ, მაგრამ... ერთი სიტყვით, სარესტავრაციო სამუშაოები გრძელდება კედლებზეც, ჭერზეც და ურთიერთობებშიც.

P.S. მეოთხე წერილში („მენორა“ 24) გალაკტიონის ლექსის ციტირებაში შეცდომა გაიპარა. ციტატა ასე უნდა იკითხებოდეს: „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა / არ გავიარე - რაა მამული?!“

სარესტავრაციო სამუშაოების ოსტატები — სამხატვრო აკადემიის დიპლომირებული სპეციალისტები, სერგო ფარსადანიშვილი, ნიკოლოზ თანდაშვილი და შოთა ბოსტანაშვილი

* დასაწყისი: „მენორა“ №18, 20, 22, 24 (2011), №1 (2012)

ჩვენი საგანძურის თაობაზე

რუბრიკას უძღვება
ხელოვნებათმცოდნე
ლელა ფიფუაშვილი

შალომ კობოშვილი (1876-1941) შესალოცად ექიმბაშთან. 1938. ქაღალდი, გუაში, ტუში. 26,5X32. © საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ამულეტები. XIXს. ვერცხლი, სერდოლიკი წარწერით, 3,5X4,5; ვერცხლი ამოტვიფრული წარწერით, 7X6; ლითონი ამოტვიფრული წარწერით © საქართველოს ეროვნული მუზეუმი

დღეს რუბრიკაში „ჩვენი საგანძური“ წარმოგიდგენთ ამულეტის თემატიკით გაერთიანებულ ოთხ ექსპონატს, რომლებიც დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლექციაში იყო და ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული.

ებრაელი ხალხის ისტორიაში ამულეტის (არაბულიდან - საკიდი) გამოყენებას ძველი ტრადიცია გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული რელიგიური კანონი ღმერთისა და რაიმე სიმბოლოების გამოსახულებას კრძალავს. როგორც წესი, ამულეტებზე უბედურებისგან დამცავი მაგიური ტექსტები და ნიშნებია მოთავსებული. ძალიან ხშირად ფიგურირებს სიტყვა „შადაი“ (ღმერთის ერთ-ერთი სახელი), რომელიც ავი თვალისაგან იცავს მის მფლობელს, ამიტომ ამულეტებს ზოგჯერ შადაისაც უწოდებენ.

თვითნასწავლი ებრაელი მხატვარი შალომ კობოშვილი წარმოშობით ახალციხიდან იყო და მისი ნამუშევრების სიუჟეტები ასახავს XIX საუკუნის მიწურულის ახალციხელ ებრაელთა ყოფას და ცხოვრებას. სურათზე „შესალოცად ექიმბაშთან“, ასახულია ამულეტით შელოცვის სცენა. ახალციხელ ებრაელთა შორის სახალხო მკურნალები ძირითადად ქალები იყვნენ, თუმცა ზოგჯერ ხახამიც მკურნალობდა. ექიმბაში, უპირველეს ყოვლისა, ღმერთს სთხოვდა ავადმყოფის განკურნებას. მათ ღრმად სწამდათ, რომ ყოველ დაავადებას თავისი ანგელოზი ჰყავდა, ამიტომ მკურნალობას ამ ანგელოზის მიმართ ლოცვით იწყებდნენ. განსაკუთრებულ დაავადებებს უმთავრესად ლოცვებითა და ამულეტებით მკურნალობდნენ. ამულეტებიც შესაბამისი წარწერებით იყო შემკული და სხვადასხვა დამცავი დანიშნულება გააჩნდა. შელოცვილ ამულეტს ექიმბაში ავადმყოფს ატანდა და მას ის გამუდმებით უნდა ეტარებინა.

საუკუნეების მანძილზე მრავალი ტიპის ამულეტი იყო გავრცელებული და თითოეულს განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა ახასიათებდა. გამოსახულებების გარდა, ხშირად ამულეტის შინაარსს მასზე მოთავსებული წარწერები განმარტავს, ზოგი ორსულ ქალს და მშობიარეს იცავს, ზოგი მგზავრობაში მყოფ ადამიანს, ან ზოგადად ავი თვალისგან დამცავია.

თილისმებად ხშირად მეზუზა, მენორა, მოსეს ათი მცნება და ბოლო დროს ყველაზე პოპულარული – სტილიზირებული სიტყვა „ჰაი“(სიცოცხლე) და მაგენ დავითი გამოიყენება. ამ ამულეტებს როგორც იუდაიზმის ნიშანს ატარებენ.

მაგენ დავითის გამოსახულებიანი ამულეტით ულოცავს ექიმბაში კობოშვილის მიერ შესრულებულ სურათზეც.

დღეს ყველაზე გავრცელებული და იუდაიზმის უმთავრეს სიმბოლოდ აღიარებული „დავითის ვარსკვლავი„ ან „დავითის ფარი“, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ, თავდაპირველად უფრო ინტერნაციონალური სიმბოლო იყო და გვხვდება ძველ ინდოეთში, მოგვიანებით კი ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში.

ბრინჯაოს საუკუნიდან (ძვ. წ.ა. 4 ათასწლეულის ბოლო – 1 ათასწლეულის დასაწყისი) გეკსაგრამა, ისევე როგორც პენტაგრამა დეკორატიული და მაგიური დანიშნულებით საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა ბევრ სრულიად განსხვავებულ ტერიტორიებზე, მაგალითად როგორც მესოპოტამიის სემიტებსა, ასევე ბრიტანების კელტებს შორის.

ებრაული რელიგიური კანონი ღმერთისა და რაიმე სიმბოლოების გამოსახულებას კრძალავს, ამიტომ მაგენ დავითი თალმუდში არ არის მოხსენიებული. მისი გამოჩენა თალმუდის ეპოქაში ნაკლებად წარმოსადგენია, თუმცა ახლახანს ტარენტეში (სამხრეთ იტალია) მისი გამოსახულება 3 საუკუნის საფლავის ქვაზე აღმოაჩინეს. ყველაზე უძველესი დავითის ვარსკვლავი ძვ წ. ა. VII საუკუნეში სიდონში აღმოჩენილ ებრაულ ბეჭედზეა. ხოლო მომდევნო, პირველი საუკუნითაა დათარიღებული და გალილეის ზღვის სანაპიროზე კაპერნაუმის სინაგოგაშია აღმოჩენილი.

პირველად მაგენ დავითი მე-12 საუკუნის შუაში, იეჰუდა გადასის მიერ „ეშკოლ ა-კოფერ“-შია ნახსენები. სავარაუდოდ, იმ დროს მაგენ დავითი ამულეტებზე გამოსახულ ნიშანს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, მაგენ დავითმა ფართო გავრცელება კაბალიდან ჰპოვა.

კარლ VI (1354 წ.) პრაღის ებრაელებს დავითის ფარისა და სოლომონის ბეჭდის გამოსახულებიანი წითელი დროშა აჩუქა. წითელ დროშაზე, რომლითაც ებრაელები მეფე მათე უნგრელს ხვდებოდნენ, ორი პენტაგრამა და ორი ოქროს ვარსკვლავი იყო გამოსახული. (41). მაგენ დავითი აგრეთვე თემის ოფიციალურ ბეჭედს ამშვენებდა.

ეს ვარსკვლავი საუკენეების მანძილზე გვხვდება, მაგრამ მხოლოდ XVII საუკუნიდან გახდა წმინდა ებრაული სიმბოლო პრაღაში. მაგენ დავითი ხშირად საკულტო დანიშნულების საგნების მოსართავად ან როგორც რელიგიური სიმბოლიკა ისე გამოიყენება.

ებრაულ საფლავის ქვებზე მაგენ დავითს მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოდან გამოსახავენ.

1779 წლიდან მაგენ დავითი უკვე როგორც სპეციფიური ებრაული სიმბოლო ანტისემიტურ კარიკატურებში ფიგურირებს.

XIX საუკუნეში ემანსიპირებულმა ებრაელებმა მაგენ დავითი ეროვნულ სიმბოლოდ აირჩიეს. სწორედ ამ პერიოდში ექვსქიმიანი ვარსკვლავი მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ებრაული თემის მიერ იქნა მიღებული და ყველაზე გავრცელებულ სიმბოლოდ იქცა სინაგოგებში, ებრაულ დაწესებულებებში, ძეგლებზე, საფლავის ქვებზე, ბეჭდებზე, საბუთების ბლანკებზე, ყოფითი და რელიგიური დანიშნულების საგნებზე, პაროხეტებზე (სინაგოგაში სეფერთორების კარადის ფარდა).

ისრაელის პრეზიდენტის მედალი

9 თებერვალს ისრაელის პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე დაასახელეს პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც „საპრეზიდენტო მედალი“ გადაეცემათ. ეს ჯილდო, რომელსაც ფრანგულ საპატიო ლეგიონის და ბრიტანული იმპერიის ორდენს ადარებენ, ისრაელში პირველად გადაეცემათ.

როგორც NEWSru.co.il იტყობინება, პრესტიჟული სახელმწიფო პრემიის პირველი მფლობელები გახდნენ: დირიჟორი — ზუბინ მეტა; აშშ-ს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი — ჰენრი კისინჯერი; კანადელი — ჯუდი ფელდ კარი, რომელიც 25 წლის მანძილზე სირიაში მცხოვრებ ებრაელებს უწევდა დახმარებას; ური სლონიმი — ბავშვების დახმარების ფონდის პრეზიდენტი და რაბინი ადინ შტაინზალცი.

ისრაელის პრეზიდენტის მედალი გადაეცემა ფიზიკურ პირებს და ორგანიზაციებს, რომელთაც წვლილი შეიტანეს მსოფლიოში მშვიდობის დაცვაში, ისრაელის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. წელს ლაურეატების კანდიდატურები დაამტკიცეს შიმონ პერესმა და საკონსულტაციო კომიტეტის წევრებმა, რომელსაც უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე — მეირ შამგარი ხელმძღვანელობს.

ოქროს მედალი, რომლის დიზაინი მხატვარმა იოსი მათითიაჰუმ შექმნა, გადაეცემათ სპეციალურ ცერემონიაზე, რომელიც ისრაელის პრეზიდენტის კანცელარიაში იერუსალიმში გაიმართება. ჯილდოს გადაცემის ზუსტი თარიღი ჯერ-ჯერობით არ დასახელებულა.

ისრაელის საელჩოსთან ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენის შესახებ შსს-მ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა

ისრაელის საელჩოსთან ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ, დღეს, ისრაელის საელჩოს თანამშრომლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომობილში ნაპოვნი იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც სამართალდამცავებმა დროულად გააუვნებელყვეს.

რომან ხაჩატურიანი საქართველოს მოქალაქეა და საელჩოში მძღოლად მუშაობს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ინფორმაცია თბილისსა და ინდოეთის დედაქალაქ დელიში ისრაელის საელჩოების აფეთქების მცდელობის შესახებ ტელეკომპანია BBC-მ გაავრცელა. ასაფეთქებელი მოწყობილობა დელის შემთხვევაშიც ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული, რომლის ამოქმედებისას ერთი ადამიანი დაიჭრა.

ბინიამინ ნეთანიაჰუ - თბილისსა და დელიში ისრაელის საელჩოების წინააღმდეგ დაგეგმილი შეტევის უკან „ჰეზბოლა“ და ირანი დგანან

თბილისსა და დელიში ისრაელის საელჩოების წინააღმდეგ დაგეგმილი შეტევის უკან დაჯგუფება „ჰეზბოლა“ და ირანი დგანან. „ბიბისის“ ცნობით, ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა. ისრაელის პრემიერმა ისლამურ რესპუბლიკას მსოფლიოში ტერორიზმის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორობაში დასდო ბრალი. თავის მხრივ, ირანმა ეს ბრალდებები უარყო.

ინფორმაცია თბილისსა და ინდოეთის დედაქალაქ დელიში ისრაელის საელჩოების აფეთქების მცდელობის შესახებ თავდაპირველად ტელეკომპანია BBC-მ გაავრცელა. დელიში, ისრაელის საელჩოსთან დიპლომატიური მისიის ავტომანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც ერთ-ერთი დიპლომატის მეუღლე დაიჭრა. დაშავდნენ გამვლელებიც.

საქართველოს შსს-ს ინფორმაციით კი, დღეს, ისრაელის საელჩოს თანამშრომლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომობილში ნაპოვნი იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც სამართალდამცავებმა დროულად გააუვნებელყვეს. რომან ხაჩატურიანი საქართველოს მოქალაქეა და საელჩოში მძღოლად მუშაობს.

ირანი ისრაელის ბრალდებებს უარყოფს

ირანი თბილისსა და დელიში საელჩოებზე განხორციელებულ შეტევაში მონაწილეობაზე ისრაელის ბრალდებებს უარყოფს . „როიტერის“ ცნობით, დელიში ირანის ელჩმა მეჰდი ნაბიზადემ ისრაელის ბრალდებებს სიცრუე უწოდა. „ირანი ნებისმიერ ტერორისტულ აქტს გმობს და ჩვენ ებრაული მხარის ყველა კომენტარს დაბეჯითებით უარვყოფთ. ეს ბრალდებები სიმართლეს არ შეესაბამება და უბრალოდ სიცრუეა, ისევე, როგორც წინა ბრალდებები“, - განაცხადა ნაბიზადემ.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ დღეს განაცხადა, რომ თბილისსა და დელიში ისრაელის საელჩოების წინააღმდეგ დაგეგმილი შეტევის უკან დაჯგუფება „ჰეზბოლა“ და ირანი დგანან. ისრაელის პრემიერმა ისლამურ რესპუბლიკას მსოფლიოში ტერორიზმის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორობაში დასდო ბრალი.

ინფორმაცია თბილისსა და ინდოეთის დედაქალაქ დელიში ისრაელის საელჩოების აფეთქების მცდელობის შესახებ თავდაპირველად ტელეკომპანია BBC-მ გაავრცელა. დელიში, ისრაელის საელჩოსთან დიპლომატიური მისიის ავტომანქანა აფეთქდა, რის შედეგადაც ერთ-ერთი დიპლომატის მეუღლე დაიჭრა. დაშავდნენ გამვლელებიც.

საქართველოს შსს-ს ინფორმაციით კი, დღეს, ისრაელის საელჩოს თანამშრომლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომობილში ნაპოვნი იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც სამართალდამცავებმა დროულად გააუვნებელყვეს. რომან ხაჩატურიანი საქართველოს მოქალაქეა და საელჩოში მძღოლად მუშაობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის და საქართველოში ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის შეხვედრა

2012 წლის 16 თებერვალს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ მიიღო ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იცხაკ გერბერგი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგმო ინდოეთის დედაქალაქ ნიუ დელიში ისრაელის საელჩოს მანქანის აფეთქებისა და საქართველოში ისრაელის საელჩოს წინააღმდეგ მიმართული ტერაქტის მცდელობის ფაქტები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა ისრაელის ელჩს, რომ საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები, რომელთაც არაერთხელ დაუმტკიცებიათ თავიანთი ეფექტურობა, სრული სერიოზულობით აღიქვამენ აღნიშნულ ინციდენტს. მიმდინარეობს გამოიძიება, რათა ზემოხსენებულ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი გადაეცეს მართლმსაჯულებას.

ნიკა ჩიტაძე: ისრაელის დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე თავდასხმა გარკვეულ დაჯგუფებებს უკავშირდება

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ექსპერტმა ნიკა ჩიტაძემ განუცხადა. მისი თქმით, ისრაელის დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე თავდასხმა პირველი არ არის.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაახლოებით 10 წლის წინ ბუენოს-აირესში ისრაელის საკონსულო ააფეთქეს და ასეთი ფაქტები კიდევ მრავლად იყო. „გარკვეულ ტერორისტულ ორგანიზაციებს ირანიც აფინანსებს, მათ შორის არიან – „ჰამასი“, „ფათხი“, „ჰეზბოლა“, მაგრამ ირანი საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ტერორისტული აქტების განხორციელებისგან თავს შეიკავებდა. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის აქტივობებიც საქართველოში აქამდე არასოდეს შეინიშნებოდა, მით უმეტეს ისლამური ტერორიზმი, თუ არ ჩავთვლით ჩრდილოკავკასიურ დაჯგუფებებს“, - განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

თუმცა, ექსპერტი არ გამორიცხავს, აფეთქებები რუსულ სპეცსამსახურებს უკავშირდებოდეს. „რუსეთი არ არის დაინტერესებული ისრაელსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობებით. როგორც ცნობილია, ისრაელი საქართველოსთვის შეიარაღების ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო. ასევე, ყველამ ვიცით, რომ რუსული სპეცსამსახურები სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ, შესაბამისად, ეს ვერსია უფრო მისაღებია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დამტკიცებულია, ვინ დაამონტაჟა ასაფეთქებელი მოწყობილობა ამერიკის საელჩოსთან“, - აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

რაც შეეხება ინდოეთს, ექსპერტის განმარტებით, ირანული სპეცსამსახურების მოქმედება იქაც ნაკლებად შესაძლებელია, რადგან ინდოეთი ირანული ნავთობის ერთ-ერთი უმსხვილესი იმპორტიორია. „რაც შეეხება რუსეთს, ინდოეთთან მასაც კარგი ურთიერთობა აკავშირებს, რადგან მოსკოვი ინდოეთისთვის შეიარაღების ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელია. შესაბამისად, არ მგონია, რომ რუსული სპეცსამსახურები დაინტერესებული იყვნენ ინდოეთის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელებაში“,- აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

ინფორმაცია თბილისსა და ინდოეთის დედაქალაქ დელიში ისრაელის საელჩოების აფეთქების მცდელობის შესახებ ტელეკომპანია BBC-მ გაავრცელა. საქართველოს შსს-ს ინფორმაციით, დღეს, ისრაელის საელჩოს თანამშრომლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომობილში ნაპოვნი იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც სამართალდამცავებმა დროულად გააუვნებელყვეს. რომან ხაჩატურიანი საქართველოს მოქალაქეა და საელჩოში მძღოლად მუშაობს. ასაფეთქებელი მოწყობილობა დელის შემთხვევაშიც ავტომობილში იყო ჩამონტაჟებული, რომლის ამოქმედებისას ერთი ადამიანი დაიჭრა.

მანანა მანჯგალაძე: ისრაელის საელჩოსთან დაკავშირებული საქმის გამოძიება სამართალდამცავებისთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია

ისრაელის საელჩოს თანამშრომლის მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობის აღმოჩენასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა, მანანა მანჯგალაძემ დღევანდელ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისივე თქმით, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

მანჯგალაძის განცხადებით, ამ დროისთვის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია სხვა კომენტარს ვერ გააკეთებს.

„აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ამის შესახებ განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც აქტიურად არის ჩართული გამოძიებაში“, - აღნიშნა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

ასაფეთქებელი მოწყობილობა საქართველოში ისრაელის ელჩის მძღოლის, რომან ხაჩატურიანის პირად ავტომანქანაში 13 თებერვალს, გუშინ იპოვეს. გუშინვე, მანქანაში დამოტაჟებული მოწყობილობის აფეთქებისას, ინდოეთის დედაქალაქში, ისრაელის დიპლომატიურ უწყებასთან ერთი ადამიანი დაიჭრა.

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ბინიამინ ნეთანიაჰუმ. მან თბილისსა და დელიში ისრაელის წინააღმდეგ დაგეგმილ შეტევაში დაჯგუფება „ჰეზბოლა“ და ირანი დაადანაშაულა. ირანმა აღნიშნული ბრალდებები უარყო და ბრალი თავად ისრაელს დასდო.

გიორგი ბარამიძეს დელიში მომხდარ აფეთქებასთან პარალელის გავლება დაუშვებლად მიაჩნია

ავტომანქანა, რომელშიც ქართველმა სამართალდამცავებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, ისრაელის საელჩოს არ ეკუთვნოდა. ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ავტომანქანა კერძო პირის კუთვნილება იყო, რომელიც ისრაელის საელჩოში მუშაობს.

გიორგი ბარამიძეს დელიში მომხდარ ფაქტთან პარალელის გავლება დაუშვებლად მიაჩნია.

„კეთდებოდა პარალელები დელიში მომხდარ აფეთქებასთან, თუმცა ეს ორი სხვადასხვა ფაქტია და ამას სპეციალისტები გაარკვევენ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველი ჩვენს მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ“, - აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

13 თებერვალს ინდოეთში ისრაელის საელჩოს თანამშრომლის ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა, რის შედეგადაც ერთ-ერთი დიპლომატის მეუღლე დაიჭრა.

ამავე დღეს, თბილისში, ისრაელის საელჩოს მძღოლის პირად ავტომობილში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინეს, რომელიც შს სამინისტრომ დროულად გააუვნებელყო. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია საქართველოს შს სამინისტრომ გაავრცელა.

მომხდარს იმავე დღეს გამოეხმაურა ისრაელის პრემიერი, ბინიამინ ნეთანიაჰუ. მან თავდასხმების ორგანიზებაში მოძრაობა „ჰეზბოლა“ და ირანი დაადანაშაულა.

ირანის საგარეო საქმეთა წარმომადგენლებმა ისრაელის ბრალდებები უარყვეს.

ებრაულ სივრცეში

გურამ გათიაშვილი

დროის იმ მონაკვეთში, რაც მე ქართული თეატრის წიაღში ვცხოვრობ, საქართველოს ერთადერთ, ისტორიული მნიშვნელობის თეატრალურ ჟურნალს ვრედაქტორობ, ესოდენ დიდი შემოქმედებითი პალიტრის მსახიობი არ მინახავს. ამ მოსაზრებას მიმტკიცებდა არ მხოლოდ რამაზ ჩხიკვაძის ყვარყვარე, აზდაკი, ქოსა, რიჩარდი, ლირი თუ სხვა როლები. ერთობ პოპულარული, მთელ მსოფლიოში აღიარებული მსახიობების მიერ შესრულებული როლები, რომელთა ნახვის საშუალება დროდადრო მეძლეოდა საქართველოში მათი გასტროლებისას თუ უცხოეთში ყოფნისას.

ამა თუ იმ, უმეტესწილად ჰოლივუდში, აღიარებულ მსახიობზე ხშირად წამიკითხავს, რომ იგი ჩვენი დროის უდიდესი ტალანტია, რომ მისი ესა თუ ის როლი საუკუნის მოვლენაა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით მინახავს ეს როლები და უმეტეს შემთხვევაში დავრწმუნებულვარ არა იმდენად ამ მსახიობის განსაკუთრებულ, დიდ ტალანტში, რამდენადაც სარეკლამო ინდუსტრიის ძლევამოსილებაში.

უახლეს წარსულში ქართულ თეატრში იყვნენ დიდებული მსახიობები, მაგრამ სამწუხაროდ, მათი შემოქმედებითი ცხოვრების, უკეთეს შემთხვევაში, ბოლო ეტაპს „მოვუსწარი“– შემოქმედებითი პიკი უკვე გადავლილი ჰქონდათ. ამ როლებშიც კარგად სჩანდა, რაოდენი დიდოსტატები იქნებოდნენ შემოქმედებითი აღმავლობის წლებში.

აი, რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია კი ჩვენი თაობის თვალწინ იქმნებოდა და სულ სხვაგვარად წარიმართა: ახალგაზრდობაში სცენის მიღმა უფრო იყო გამორჩეული, მაგრამ როლები... დღეს იგონებენ, თუ როგორ ეწადა თეატრისათვის თავის დანებება და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში წასვლა. გაიარა დიდებული გზა თეატრალური ტერმინი რომ ვიხმაროთ, „გეროი ლუბოვნიკის“ ამპლუიდან დიდ მსახიობამდე. იგი ჩვენს თვალწინ გარდაიქმნა ფართო დიაპაზონის იმ ქართველ თეატრალურ მოღვაწედ, რომელსაც ყველა კონტინენტზე უკრავდნენ ტაშს.

არასოდეს დამავიწყდება ასეთი რამ: ბატონი დოდო ალექსიძე კარგა ხანს აფრიალებდა, ყველას აჩვენებდა ინგლისიდან მიღებულ წერილს. იქ ეწერა: ლონდონში, თბილისის რუსთაველის თეატრი იყო საგასტროლოდ. ფანტასტიკური რამაზ ჩხიკვაძე რიჩარდ მესამეს როლში ვნახეთ. პრეს-კონფერენციაზე ჩხიკვაძემ თქვა, რომ თქვენი მოწაფეა, თქვენ აღზარდეთ. ჩვენ გვინდა თბილისში ჩამოვიდეთ და თქვენგან ვისწავლოთ აქტიორული ხელოვნებაო.

ისე მოხდა, რომ მე ბ-ნ რამაზის მეუღლესთან – ქალბატონ ნატაშასთან უფრო მქონდა ურთიერთობა, ვიდრე რამაზთან — ქ-ნი ნატაშა ერთხანობას თეატრალურ საზოგადოებაში მუშაობდა. ბ-ნ რამაზს კი ვიცნობდი, ვიცოდი, ვინც იყო, რაც იყო, მაგრამ ურთიერთობა, როგორც იტყვიან, შორიახლო მქონდა.

რამაზ ჩხიკვაძე ცხოვრების თავის წესს მისდევდა – საზოგადო შეკრებები არ უყვარდა, სპექტაკლებზეც იშვიათად ჩნდებოდა. როგორც მისი მეგობრები იგონებენ, ადრე, ახალგაზრდობაში სუფრიანობას ეტანებოდა – ყოველი ლხინის მონაწილე იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და ნახევარსაუკუნოვან ასაკსაც მიუახლოვდა, დროს უფრთხილდებოდა, სპექტაკლზე დახარჯული ენერგიის აღდგენას ესწრაფვოდა – პროფესიას დიდ ყურადღებას უთმობდა.

აქ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახლდათ ქ-ნ ნატაშას როლი. ნატაშა ჩხიკვაძემ, ამ დიდებულმა მეუღლემ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში: რამაზი ერთობ მომხიბლავი, უზარმაზარი ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი გახლდათ, კარგ ოჯახში აღზრდილი და განათლებული. ყველგან, ყველა დონის სერობის სასურველი სტუმარი იყო, ხშირად იწვევდნენ. თავადაც უყვარდა სერობა, ქ-ნი ნატაშა კი ცდილობდა რამაზს პროფესიულ დაოსტატებაზე მეტი ეფიქრა, მთელი დრო პროფესიისათვის დაეთმო და არ დაფანტულიყო – მაქსიმალურად ყოფილიყო კონცენტრირებული აქტიორულ ხელოვნებაზე. ამით მან დიდი სამსახური გაუწია ქართულ თეატრს.

როგორც უკვე ვთქვი, ბ-ნ რამაზთან ერთობ შორიახლო ურთიერთობა მქონდა. ამიტომ ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ერთი ასეთი ეპიზოდი: უცხოეთში რომელიღაც საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გასაფრენად მოსკოვში რომ ჩავფრინდი, გავიგე, დღეს შვედები სამხატვრო თეატრში დიდებული კინორეჟისორის—ინგმარ ბერგმანის მიერ თეატრში დადგმულ „ჰამლეტს“ თამაშობენო. ცხადია, ბილეთი არ მქონდა, მაგრამ სამხატვრო თეატრში მაინც წავედი, ბედნიერი შემთხვევის იმედი მქონდა – შეუძლებელია, რომელიმე ნაცნობი არ გამოჩნდეს-მეთქი.

და აი, სამხატვრო თეატრის წინ მდგომს მესმის ერთობ ნაცნობი ხმა:

– გურამ, ბილეთი არა გაქვს? – თურმე რამაზ ჩხიკვაძე მეძახდა. წამოდი ჩემთან იყავიო, მითხრა. რამაზ ჩხიკვაძისა და კიდევ ვიღაც „გრუზინსკი დრამატურგის“ სპექტაკლის დაწყების წინ სტუმრობით ადმინისტრატორი მძიმე დღეში ჩავარდა, აწრიალდა – დიდი ვაივაგლახის შემდეგ ორი ადგილი გვიშოვა. იმ წლებში ბერგმანის „ჰამლეტი“ ერთობ რეკლამირებული გახლდათ – დიდი კინორეჟისორის მიერ იყო განხორციელებული, მაგრამ გამიჭირდება ვთქვა, სპექტაკლი ბრწყინავდა-მეთქი. და როდესაც ჰამლეტმა ოფელიას ავანსცენაზე „ნამუსი ახადა“, რამაზმა გადმომჩურჩულა: „დილას ადრე მივფრინავ, უნდა წავიდე“ მაგრამ არ წავიდა, მაინც გაფაციცებული შესცქეროდა სცენას. ალბათ, ბერგმანის შესაფერის ეპიზოდს თუ ელოდა, მაგრამ...

პირველი მოქმედების შემდეგ წავიდა.

ჩხიკვაძეების ოჯახთან ჩვენს ურთიერთობას უმეტეს წილად განაპირობებდა ის, რომ ქ-ნი ნატაშა ებრაელი იყო და ამით ამაყობდა. ეს ურთიერთობას აიოლებდა, ქ-ნ ნატაშას იზიდავდა ის, რომ მე ებრაულ თემაზე ვწერდი, ებრაულ სამყაროში ვტრიალებდი. ერთხელ თავის „ვილა ბერიკაში“ (რამაზი ხომ სულ ხუმრობდა: „მე ბინა არა მაქვს, სასტუმროში ვცხოვრობ“). ხანუქის საღამო მოაწყო, რამდენიმე ებრაელად ცნობილი ადამიანი ვიყავით, უფრო მეტი ისინი, ვისი ებრაელობის თაობაზეც მაშინ არაფერი ვიცოდით – უმეტესწილად აშქენაზი–რუსი ებრაელები. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ზურაბ ჟვანია – მოგვიანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი.

ხანუქის მეორე საღამო იყო. სანთლის ანთება და ხანუქის კურთხევა ქ-ნმა ნატაშამ მე მთხოვა.

ქ-ნი ნატაშა ხშირად საუბრობდა იმაზე, რამაზი თუ როგორი პატივისცემით ეკიდებოდა მის ეროვნულ კუთვნილებას – სიამაყით იგონებდა, დედა რომ გარდამეცვალა, სინაგოგაში მივიდა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭირო იყოო.

რამაზმა არკადი იახნისის ფილმში შესანიშნავად ითამაშა მოხუცი ებრაელის როლი (საერთოდ საინტერესო თემაა: ქართველმა მსახიობებმა რუსულ-გერმანულ ფილმებში როგორ ითამაშეს ებრაელების როლები. მხედველობაში მაქვს, რამაზ ჩხიკვაძის მოხუცი ებრაელი ა. იახნისის ფილმში და ოთარ მელვინეთუხუცესის რაბინოვიჩი დიმიტრი ასტრახანის ფილმში „განვედ!“. ეს ორი როლი – ორი კინოშედევრია.

შეხვედრებმა, ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდმა ცხადია, დაგვაახლოვა, მაგრამ ურთიერთობა მაინც დისტანციური გახლდათ, დიდი მსახიობის შინაგანი კულტურიდან მომდინარე და არა ისეთი, რაღაც საერთო ინტერესს რომ ეყრდნობა.

მოგვიანებით, 2007 წელს, ახალი რეალობა გაჩნდა – გამოიცა ჩემი რომანი „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“. ჩხიკვაძეების ოჯახში ერთ-ერთი სტუმრობისას. რომანი სამახსოვრო წარწერით მივართვი, მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ რამაზმა წაიკითხა, ნატაშამ მით უმეტეს – ვერ წაიკითხავდა. სულ მალე – რომანი მოსკოვში გამოიცა რუსულ ენაზე (გამომცემლობა „Текст“) სულ სხვა სათაურით: „Человек из Вавилона“ (საერთოდ, ამ რომანის სათაური „ბაბილონელი კაცი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ადრე გამოცემულ რომანს „მეათე კაცი“ ერქვა, ამიტომ მოვერიდე სათაურში „კაცის“ გამეორებას). მოსკოვში რუსულ ენაზე გამოცემული რომანი ქ-ნ ნატაშას ვუსახსოვრე. აი, ამის შემდეგ ჯერ ქ-ნი ნატაშა, შემდეგ ბ-ნი რამაზი ხშირად საუბრობდნენ რომანზე. ეს საუბარი ყოველთვის იყო სასიამოვნო. ერთ საღამოს „ვილა ბერიკაში“ ბ-ნი რამაზის კაბინეტში ვისხედით, პირველად იქ ითქვა, რომ ზანქან ზორაბაბელის როლის კინოში თამაში ეწადა. მე ერთ დიდებულ ქართველ რეჟისორზე ვუთხარი, ძალიან სწადია, ამ რომანის ფილმად გადაღება და სპონსორს დაეძებს-მეთქი. მას კი რუსეთში მოღვაწე ებრაელი კინორეჟისორებისაკენ ეჭირა თვალი. მერე ქ-ნმა ნატაშამ რომანის კიდევ ორი ეგზემპლიარი მთხოვა. იგი ძალიან აქტიურობდა (ქ-ნი ნატაშა ხომ დიდი ორგანიზატორული თვისებებით გახლდათ დაჯილდოებული). ადრეულ წლებში ბ-ნ რამაზს თეატრში შაილოკი უნდა ეთამაშა, თითქოს პროექტი განხორციელების პირას იყო, მაგრამ მერე სპექტაკლი აღარ დაიდგა. ამიტომ ქ-ნი ნატაშა დაბეჯითებით ცდილობდა დაფინანსების წყაროს მოძიებას.

მაგრამ მალე „სახლი სიხარულისას“ გადაღების პროცესში, ბ-ნმა რამაზმა ფეხი მოიტეხა, შემდეგ ავადმყოფობა გაურთულდა, უმეტესად გერმანიასა თუ ჩეხეთის კლინიკებში იყო და ამ იდეამაც უკანა პლანზე გადაინაცვლა.

* * * * *

ჩემმა მეგობარმა სოსო (ისაკ) მიხელაშვილმა ისრაელში შვილიშვილის ბარ-მიცვაზე მიგვიწვია: ნატაშა და რამაზ ჩხიკვაძეები, ისრაელში საქართველოს ყოფილი ელჩი, პროფესორი, ჩინებული მეცნიერი რეზო გაჩეჩილაძე მეუღლესთან – ქ-ნ მზიასთან ერთად და ამ სტრიქონების ავტორი ასევე მეუღლესთან ერთად. ისაკ მიხელაშვილმა დიდებული მასპინძლობა გასწია. რამაზს ისრაელთან ერთობ თბილი მოგონებები აკავშირებდა, ძალიან მოსწონდა და უყვარდა ეს ქვეყანა.

დასასრული მე-8 გვერდზე

ევროპის ებრაელთა პარლამენტი

16 თებერვალს ბრიუსელში ევროპარლამენტის შენობაში ევროპის ებრაელთა პარლამენტის პირველი სხდომა გაიხსნა. რისი ძირითადი მიზანიც კონტინენტის ებრაული სათემოების ერთიანი წარმომადგენლობის შექმნა გახლავთ.

პარლამენტის მოწვევის ინიციატორები იყვნენ უკრაინელი ბიზნესმენები — იგორ კოლომოისკი და ვადიმ რაბინოვიჩი.

პარლამენტის დეპუტატები სხვადასხვა ქვეყნის 120 წარმომადგენელი გახდა. ესენი არიან სხვადასხვა შეხედულებისა და პროფესიის ადამიანები — კონსერვატორები, ლიბერალები, რაბინები, პუბლიცისტები, პოლიტიკოსები და ხელოვნების მოღვაწენი. ისტორიაში პირველად ევროპის ებრაელთა პარლამენტის არჩევნები ინტერნეტის საშუალებით ჩატარდა. ევროპის ყველა ქვეყნიდან ხმას აძლევდნენ არა ორგანიზაციები და საზოგადოებრივი სტრუქტურები, არამედ რეალური ხალხი — 400 000-ზე მეტი ებრაელი 47 ქვეყნიდან.

ფორუმის თანათავმჯდომარეები გახდნენ ვადიმ რაბინოვიჩი და ბელგიის ებრაული სათემოს ლიდერი — ჟოელ რუბინფელდი. რუბინფელდმა ხაზი გაუსვა, რომ პრობლემები, რომლებიც ევროპელ ებრაელებს, სწრაფად ცვალებად მსოფლიოში აწუხებთ ძალიან ბევრია.

ფორუმის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით ევროპარლამენტის წევრმა ბულგარელმა ანტონ პარვანოვმა მიმართა. თავის გამოსვლაში პარვანოვმა ხაზი გაუსვა, რომ „დღეს ახალი ფურცელი იშლება როგორც ევროპის, ასევე მთელი მსოფლიოს ებრაელების ისტორიაში“.

დელეგაციამ მოლაპარაკებები გამართა ევროკომისიის, ნატოსა და ბელგიის ხელმძღვანელობასთან. განიხილებოდა სიტუაცია ირანში, სირიაში და ასევე ანტისემიტიზმი ევროპაში.

ამერიკელი ებრაელი ლიდერები შეხვდნენ პარლამენტის დეპუტატებს და მონაწილეობა მიიღეს მის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ წვეულებაში. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ბელგიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი — დიდიე რეიმონდი და საერთაშორისო საკითხებში ევროპარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკი, რომელიც გერმანიას წარმოადგენდა.

ახალი პარლამენტის წევრებს მიულოცეს ევროპარლამენტარებმა, სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტების წევრებმა და შეერთებული შტატების დიდი ებრაული სათემოების წარმომადგენლებმა.

იგორ კოლომოისკი უკვე შეხვდა ევროკომისიის პრეზიდენტს — ჟოზე მანუელ ბაროზის. ებრაული ევროპული კავშირის ხელმძღვანელი დარწმუნებულია, რომ პარლამენტი ევროპას ბევრ სარგებელს მოუტანს.

პარლამენტის შტაბი ბრიუსელში იქნება, სადაც ყოველწლიურად გენერალური ასამბლეა შეიკრიბება. პირველი გენერალური ასამბლეა აპრილში ჩატარდება.

ვულოცავთ!

ევროპის ებრაელთა პარლამენტის წევრებად საქართველოდან არჩეული არიან:

მორის კრიხელი

და

ლევ სამოვსკი

ისრაელის მოსახლეობას სწამს...

ისრაელის ებრაული მოსახლეობის 80 %-ს ღმერთის სჯერა — ასეთია გამოკითხვის შედეგები, რომელიც გუტმანის კვლევითმა ცენტრმა ფონდის „ავი ჰაის“ დაკვეთით ჩაატარა. გამოკითხვა 2009 წელს ჩატარდა, თუმცა, მისი შედეგები მხოლოდ ცოტა ხნის წინათ დეტალური ანალიზისა და კვლევითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ გამოქვეყნდა. მსგავსი კვლევები ისრაელში 1999 წელს ჩატარდა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 2803 ისრაელელმა ებრაელმა. რესპონდენტების 70 %-მა აღიარა, რომ სწამს ებრაელი ხალხის მიერ არჩეული ღმერთის, 65 % აღიარებს თორას და მის მცნებებს, 56-ს კი სჯერა სიცოცხლისა სიკვდილის შემდეგ.

კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ ათი წლის განმავლობაში რელიგიური ისრაელელების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. 1991 წლიდან 1999 წლამდე ისრაელში მცხოვრები რელიგიური ისრაელელების რიცხვი შემცირდა, რაც დსთ-ს ქვეყნებიდან მასობრივი რეპატრიაციით იყო გამოწვეული.

2009 წელს გამოკითხულთა 46 პროცენტი თავს საერო ებრაელად მიიჩნევს, 22 პროცენტი კი — ორთოდოქსად და ულტრაორთოდოქსად. დარჩენილი 32 პროცენტი საკუთარ თავს ტრადიციონალისტებს მიაკუთვნებს. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ისრაელელი ებრაელების 55 პროცენტს სჯერა მესიის მოსვლის. რესპოდენტების 37 პროცენტი მიიჩნევს, რომ „ებრაელები, რომლებიც მცნებებს არ იცავენ, მთელ ერს აყენებენ საფრთხის წინაშე“. 1991 წელს ამ აზრს გამოკითხულთა 35 პროცენტი იზიარებდა, 1991 წელს კი — 30 პროცენტი. გამოკითხულების ნახევარზე ნაკლები თვლის, რომ დემოკრატიული საზოგადოების პრინციპები ებრაულ მცნებებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

გამოკითხვის ორგანიზატორები ასახელებენ ორ მიზეზს, თუ რატომ გაიზარდა ბოლო წლებში ისრაელელების რელიგიურობა: რუსულენოვანი რეპატრიანტების დიდი ნაწილი ისრაელურ ყოფას მოერგო — უფრო ტრადიციულები გახდნენ. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ ორთოდოქსულ სექტორში შობადობა გაიზარდა.

კვლევამ მხოლოდ რელიგიურობის ზრდა არ დააფიქსირა, გაიზარდა იმათი რაოდენობაც, რომლებიც ებრაულ მცნებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში იცავენ. 85%-მა განაცხადა, რომ რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა მათთვის „მნიშვნელოვანი“ ან „ძალიან მნიშვნელოვანია“. რესპონდენტების 70 პროცენტი ფესახის დღეებში უარს ამბობს არარეკომენდირებულ საკვებზე. გამოკითხულთა 61 პროცენტს მიაჩნია: „სახელმწიფომ უნდა აკონტროლოს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ისრაელში ებრაული რელიგიური ტრადიციების მიხედვით მიმდინარეობდეს“. ამასთან ერთად, რესპონდენტების 58 დან 68 პროცენტამდე თვლის, რომ მაღაზიებმა, საზოგადოებრიმა ტრანსპორტმა, რესტორნებმა, ბარებმა და კინოთეატრებმა შაბათს უნდა იმუშავონ.

გამოკითხულთა 51 პროცენტზე მეტი ფიქრობს, რომ ისრაელში უნდა დაინერგოს სამოქალაქო ქორწინების ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოებრივ ორგანოებში რელიგიური ინსტიტუტების ჩარევის გარეშე მოხდება.

ხსოვნის საერთაშორისო დღეზე

26 იანვარს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის, ბატონ ტორბიორნ იაგლანდის თანადგომით, რუსულენოვან ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მოძრაობამ „მსოფლიო ნაციზმის გარეშე“ მოსკოვში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია: „აღარასოდეს: ჰოლოკოსტი, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული - საუბარი შეუწყნარებლობის, რასიზმის, ექსტრემიზმის და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ“.

კონფერენცია გახსნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მოძრაობა „მსოფლიო ნაციზმის გარეშე“ თავმჯდომარემ ბორის შპიგელმა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო დირექტორატის ხელმძღვანელმა დოქტორ რალფ-რენე ვეინგენტნერმა, მათ მადლობა გადაუხადეს დამსწრეთ და აღნიშნეს, რომ ერთობლივად ჰოლოკოსტის ხსოვნის დღის აღნიშვნა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ საერთო ძალისხმევით შევძლოთ ანტისემიტიზმის და დისკრიმინაციის პრევენცია, ადამიანის ჰუმანურობას ეროვნება არ აქვს, გაეროს და ევროსაბჭოს ძირითადი დეკლარაცია ხომ ადამიანის დისკრიმინაციის დაუშვებლობას ემყარება, განურჩევლად მისი რასის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური, კუთვნილებისა.

პლენარულ სესიაზე: „ლიტერატურის, კულტურის და ხელოვნების როლი ჰოლოკოსტის სწავლებაზე და ჰოლოკოსტის ისტორიის გავლენა ომის შემდგომ პერიოდის კულტურულ შემოქმედებაზე (სასტუმრო „ოქროს ბეჭედი“, დარბაზი „როსტოვი“) საქართველოდან მონაწილეობდა მარინე სოლომონიშვილი (მხატვარი, საერთაშორისო ფონდ „ლეას“ ებრაელ ქალთა საბჭოს პრეზიდენტი). მან წაიკითხა მოხსენება „ხელოვნების როლი ახალგაზრდა თაობისათვის ჰოლოკოსტის ისტორიის ხსოვნაში“. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ აქვე წარმოდგენილი იყო ქ-ნ მარინეს გრაფიკული ნახატების ვირტუალური პრეზენტაცია – გამოფენა „ჰოლოკოსტის თემაზე“, დამსწრეთ აღინიშნეს ქ-ნ მარინეს, როგორც ნიჭიერი და თვითმყოფადი მხატვრის გამორჩეული გრაფიკული შემოქმედება, ხაზის პლასტიკა, რომლის მეშვეობითაც ნახატში შესანიშნავადაა გადმოცემული ებრაელი ხალხის ტკივილი და სიხარული, ებრაელი ხალხის ისტორია, რომ აუცილებელია ამ თვითმყოფად შემოქმედებას გაეცნონ არა მხოლოდ საქართველოს ებრაულ თემში, არამედ ისრაელსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, რაც ხელს შეუწყობს ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებას, კულტურათა დიალოგს და სხვა. აღინიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორების და მეცენატთა მიერ ქ-ნ მარინეს და საერთოდ ებრაელ ხელოვანთა მეტი ხელშეწყობაა საჭირო.

მ ე ო ცდ ა მ ე ო ც

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება მთავარი რაბინის მ.შ. აბიმელეხ როზენბლატი

კვირის საკითხავი თავი „მიშფატიმ“ განსაკუთრებული თავია. ეგვიპტიდან გამოსვლის შესახებ თხრობა შუაში წყდება და იწყება კანონები, რომელნიც ადამიანთა შორის ურთიერთობების რეგლამენტირებას ახდენენ. ერთ-ერთი მცნებათაგანი ეს არის „ლაშონ ყარას“ (ცუდი ენის) მოსმენის აკრძალვა. ჩვენს ფიქრებსა და სიტყვებს კოლოსალური ძალა აქვთ. ცუდი სიტყვა ან ცუდის გაფიქრებამ ადამიანზე, მიუხედავად იმისა ჩვენ გვესმის და გვინდა ეს თუ არა, შეიძლება იმოქმედოს მის სიცოცხლეზე, ავნოს მას. ნათქვამია მიშლეიში: „სიცოცხლე და სიკვდილი ენაზეა დამოკიდებული“. – და ეს ნათქვამია არა მხოლოდ სიცოცხლესა და სიკვდილზე პირდაპირი გაგებით, არამედ ადამიანის ცხოვრების ხარისხზეც. არასწორი სიტყვა ხომ უფრო მეტად გვაზიანებს, ვიდრე დარტყმა, ცემა. ადამიანი ამ სამყაროს ყველა ქმნილებისაგან ხომ სწორედ მეტყველების უნარით განსხვავდება, და თუ ჩვენ არასწორად გამოვიყენებთ ამ ნიჭს, მაშინ ვარღვევთ შექმნის მიზანს.

ხომ სიმართლეა ის, რომ როდესაც ჩვენ „ლაშონ ყარას“ ვამბობთ, უმეტეს შემთხვევაში ვერ ვღებულობთ რეალურ სარგებელს, რეალურად ვერაფერს ვიგებთ. მაშინ, რატომ ვაკეთებთ ამას? თუ ჩვენ ამის მიზეზს ჩავწვდებით, მაშინ მივხვდებით, რომ ძირითადად ამას საკუთარი თავის ამაღლების მოთხოვნილების გამო, საკუთარი თავის, ჩვენი არსებული „მეს“ გამართლებისათვის ვაკეთებთ. ჩვენ ხომ ყოველთვის ვადარებთ საკუთარ თავს სხვებს. ამაზე გვითხრეს ჩვენმა ბრძენებმა: „ვისაც ამაღლება სურს, აიშენოს სიმაღლეები სხვისთვის ორმოს გათხრის მაგივრად“. ლაშონ ყარას წარმოთქმის სხვა მიზეზი იმაშია, რომ ამით ჩვენ სიამოვნებას ვღებულობთ. ჩვენ იმდენად მივეჩვიეთ ლაშონ ყარას წარმოთქმას, რომ უკვე აღარ შეგვიძლია საუბრის წარმართვა ამის გარეშე. თორა ჩვენ გვეუბნება საკუთარი თავის აღზრდაზე და გვაძლევს იმ ჩვენი ასეთი თვისებების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს. როგორ ვიპოვოთ სხვა ადამიანში ღირსებები და არა მისი სისუსტეები.

ყველაზე კარგი რჩევაა ადამიანებთან ნაკლებად საუბარი, თუ ამას აუცილებლობა არ მოითხოვს. დასაწყისისათვის ეს ძალზე რთულია, რადგანაც აღმოჩნდება, რომ ჩვენ სიტყვათა უმრავლესობა სხვებზე, მათ შეფასებაზეა აგებული. უნდა ვეცადოთ, და დროთა განმავლობაში დავინახავთ, რომ სასაუბროდ სხვა თემებიც არსებობს.

თუ ვინმე ლაშონ ყარას ამბობს, რბილად უნდა შევეცადოთ თემის შეცვლას. ის, ვინც უსმენს, ხომ თავადაც არღვევს ისევე, როგორც მისი წარმომთქმელი.

თუ საკუთარი თავი იმაში დაიჭირე, რომ სხვაზე ლაშონ ყარას ამბობ, უნდა ეცადო გამოასწორო ეს და შეაქო ეს ადამიანი. რა თქმა უნდა, დასაწყისში ეს ხელოვნურად გამოგივათ, მაგრამ თანდათანობით ეს ჩვევაში გადაგეზრდებათ.

შემდეგი რჩევა ასეთია: მანამ წარმოსთქვამთ ლაშონ ყარას, იფიქრეთ იმაზე, თუ რამდენად გესიამოვნებოდათ მსგავსი რამ თქვენს შესახებ რომ გაგეგოთ.

არის შემთხვევები, როდესაც აუცილებელია რომელიმე ადამიანთან დაკავშირებით პრობლემების გაზიარება. ისე უნდა მოყვეთ ეს, რომ ვერ მიხვდნენ ვისზეა საუბარი.

ერთი ადამიანი რაბინთან მივიდა და უთხრა: „თქვენ უკვე გაიგეთ, თუ რას ყვებიან თქვენი მეგობრის შესახებ?“

„არა“ – უპასუხა რაბინმა – „მაგრამ იქამდე მანამ მომიყვები, მითხარი გაატარე თუ არა ეს ამბავი სამ საცერში“?

„რას ნიშნავს ეს“? – ჰკითხა მას სტუმარმა.

„პირველი საცერი - ეს სიმართლეა“- უთხრა რაბინმა – „დარწმუნებული ხარ იმაში, რომ რასაც ჩემს მეგობარზე მეტყვი, ეს სიმართლეა?“

სტუმარი შეყოყმანდა: „არსებითად, მე არცთუ ისე დარწმუნებული ვარ ამაში, მე ეს სხვისგან შევიტყვე. და რა არის მეორე საცერი“?

„მეორე საცერი – ეს სიკეთის საცერია. არის თუ არა ის, რაც უნდა გეთქვა კარგი ამბავი“?

„პირიქით“ – უთხრა სტუმარმა – „ეს ძალზე არასასიამოვნო ამბავია. და მესამე“?

„მესამე ეს არის აუცილებლობის საცერი. რამდენად აუცილებელია მომიყვე ჩემს მეგობარზე ეს ამბავი, ამასთან, თუ არაა ცნობილი ეს სიმართლეა თუ არა“?

ცოტა ხნის შემდეგ სტუმარმა ამოიოხრა და უთხრა: „არა, ეს არცთუ ისე აუცილებელია“.

„თუ ასეა“ – უთხრა რაბინმა – „მაშინ ჯობს არაფერი მითხრა“.

მოგვითხრობენ ხაფეც ხაიმის შესახებ: ერთხელ, გახდა რა უკვე ცნობილი ადამიანი, ის მატარებლით მეზობელ ქალაქში ლექციის ჩასატარებლად მიდიოდა. ვაგონში მეორე მგზავრმა მიმართა და უთხრა, რომ დიდი რაბინის ხაფეც ხაიმის ლექციის მოსასმენად მიდის და ძალიან ღელავს. ხაფეც ხაიმმა უპასუხა, რომ ეს რაბინი არცთუ ისე დიდია და მნიშვნელოვანი, ჩვეულებრივი ებრაელია. გაბრაზდა მგზავრი და დაარტყა მას. როდესაც ის ხაფეც ხაიმის ლექციაზე მოხვდა, ცუდად გახდა, მიხვდა რა, თუ ვისთან ერთად იმგზავრა და ვის გაარტყა. მიუახლოვდა ხაფეც ხაიმს, მან კი უთხრა: „ნუ დარდობ, შენი მადლიერიც კი ვარ იმის გამო, რომ მასწავლე წესი – საკუთარ თავზეც კი არ შეიძლება „ლაშონ ყარას“ წარმოთქმა.

ქართველ ებრაელთა ახალი სალოცავი მოსკოვში

2012 წლის 23 იანვარს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა — მოსკოვში ქართველ ებრაელ ბიზნესმენთა თაოსნობით გაიხსნა ახალი სალოცავი სახელწოდებით „პატარა სალოცავი სახლი — შალომი“.

ამ ბეით ქნესეთს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა მოსკოველმა ბიზნესმენმა მერაბ მოშიაშვილმა. ბატონი მერაბი ამბობს:

— ადრე თუ გვიან ადამიანი მიდის იმ გაგებამდე, რომ დაიკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილებები, ჩვენს სამსახურში არ იყო „მინიანის“ პრობლემა, რატომ არ უნდა გახსნილიყო სალოცავი? ყოველმა მამაკაცმა ახალ თაობას უნდა დაუტოვოს არა მარტო ბიზნესი, არამედ რწმენა, მისწრაფება სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

რადგანაც მერაბ მოშიაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, განხორციელებაც არ დააყოვნა და ჩანაფიქრი 18 დღეში სისრულეში მოიყვანა. სალოცავი გაიხსნა და „სეფერ-თორის“ შებრძანებაც ზეიმით აღინიშნა. სალოცავის გახსნაში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა: მერაბ, მიხეილ, ბადრი, თამაზი, რამაზი, დათო და შალვა მოშიაშვილებმა, შალვა ციცინმა, შალვა და მიშა მეგრელიშვილებმა, კახა მაღალმა, ბესო ჩენმა. ეს ადამიანები ფაქტიურად ყოველდღიურად ღებულობენ ფირმის სხვა წევრებთან ერთად ლოცვაში მონაწილეობას.

ლოცვის გახსნაში დიდი წვლილი შეიტანა რაბი აბრამ ელაშვილმა. სწორედ მისი რჩევა დარიგება იქნა გათვალისწინებული სალოცავის მოწყობის საქმეში.

სალოცავი გახსნა რუსეთის მთავარმა რაბინმა ბენ-ლაზარმა. მან აღნიშნა რომ დღევანდელი რუსეთის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სალოცავი იხსნება იქ, სადაც ერის წარმომადგენლები მუშაობენ, მან აღნიშნა:

— ასეთი რამ მიღებულია ისრაელში, ამერიკაში, ევროპაში, რუსეთში კი ეს პირველი შემთხვევაა და აუცილებლად აღსანიშნავია, რამდენადაც კარგი მაგალითი გადამდებია და იმედი მაქვს, რომ ასეთ ფაქტს სხვები მიბაძავენ, ამას მოყვება სალოცავების გამრავლება.

ბენ ლაზარმა აღნიშნა, რომ ქართველმა ებრაელებმა მოსკოვში ბევრ კარგ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი და ახლაც სხვებს დაასწრეს ასეთი კარგი სალოცავის გახსნით.

სალოცავის გახსნას დაესწრო მოსკოვში მცხოვრები მრავალი ქართველი ებრაელი.

სალოცავის ბაზაზე შეიქმნება სპორტული სექცია, რომელსაც დათო მოშიაშვილი ჩაუდგება სათავეში.

მის ფუნქციებზე მომავალში ვისაუბრებთ.

დავით ორენი-წიწუაშვილი
ქ. მოსკოვი

უკვე ავადმყოფობდა, ფეხი ძლიერ აწუხებდა, მაგრამ მაინც ცდილობდა ხალისიანი ყოფილიყო. იყო კიდეც. ეს ჩინებულად გამოჩნდა ისაკისა და ლედის ოჯახში შაბათ ღამის სუფრაზე – ოხუნჯობდა, სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდა, ცოტას სვამდა კიდეც, გატაცებით საუბრობდა ისრაელის ღირსებებზე, ქვეყნის ისტორიულ წარმატებებზე, გაოცებას გამოსთქვამდა იმით, სახელმწიფობრიობის არცთუ დიდი ხნის მანძილზე, რა სიმაღლეებს მიაღწია. გამოყოფდა ხალხის შრომის კულტურას და პასუხისმგებლობის გრძნობას. ეს საკითხები თითქოს მსახიობი კაცისთვის შორეული უნდა იყოს, მაგრამ რამაზი ერთობ დაკვირვებული პიროვნება გახლდათ, მისი ოხუნჯობებისა, თუ ლაღი სიმღერის მიღმა ძალიან საინტერესო ინტელექტუალი იყო, გულთბილი და მეგობრების დამხმარე პიროვნება. არასოდეს დამავიწყდება ასეთი სცენა: ჩვენი დიდებული სცენოგრაფის გოგი მესხიშვილის დედის გასვენების დღეს რამაზი უცხოეთიდან ახალი დაბრუნებული გახლდათ. მიცვალებულის გამოსვენების მოლოდინში ქუჩაში ვიდექით და ვბაასობდით. მსახიობები, მისი მეგობრები, რამაზის ხილვით გახარებულნი მოდიოდნენ და მოიკითხავდნენ, რამაზი გულისჯიბეში ხელს ჩაიყოფდა და ბევრ მათგანს ასდოლარიანის კუპიურას ჩუქნიდა. და როცა მისი მეგობრები უხერხულობდნენ, რამაზი სიცილით ამბობდა „ჰო, კაი ახლა...“

ისრაელში ყოფნის დღეებში ქართულ სატელევიზიო არხს დავურეკე და ვურჩიე: ისარგებლეთ იმით, რომ რამაზ ჩხიკვაძე ისრაელშია, დღის პირველ ნახევარში შედარებით თავისუფალია, ჩაიწერეთ მასთან საუბარი-მეთქი. „ჩვენმა არხმა“ ეს შესაძლებლობა გამოიყენა. რამაზისა და ჩემი საუბარი ჩაიწერა. ამ დიალოგში ჩემი მისია რამაზის პროვოცირება გახლდათ, იგი სასაუბროდ უნდა განმეწყო. რამაზი ხომ ჩინებული მოსაუბრე იყო, მაგრამ მისი სტიქია მაინც მონოლოგი, თხრობა გახლდათ. კითხვა-პასუხის რეჟიმი არ იზიდავდა, მეც ვცდილობდი, იგი სათანადო განწყობამდე მიმეყვანა.

რამდენიმე ხანში სწორედ თხრობისთვის განეწყო და ბრწყინვალედ მოიგონა ბევრი ერთობ სალაღობო ეპიზოდები – როდესაც რამაზი მივიდა იმ კონდიციამდე, რომ ჩემი „ჩარევის“ გარეშეც იყო მომართული, დაიწყო ერთი მსახიობის თეატრის ბრწყინვალე წარმოდგენა – დაუვიწყარი სპექტაკლი. ჩანაწერი მერე ეკრანზე არ მინახავს. არ ვიცი როგორ დამონტაჟდა, როგორი სახე მიიღო, მაგრამ ასეა თუ ისე, დღეს ,,ჩვენს არხს“ აქვს ძვირფას რელიკვიად ქცეული ფირი, რომელსაც სხვა ტელევიზიებიც სიამოვნებით აჩვენებენ.

შეუდარებელი გახლდათ რამაზი ბიზნესმენ ილია მოსიაშვილის დაბადების დღეზე – 31 დეკემბრის ღამეს. მზია, რეზო გაჩეჩილაძეები, ისაკი, ლედი მიხელაშვილები, რეზო, მერი არენსები – მათი შვილები. ნატაშასა და რამაზისათვის ეს ახლობელთა წრე იყო. ახალი წლის ღამეს, ილიკოს დაბადების დღეზე კეთილისმსურველი ადამიანების გარემოცვაში ძალიან კარგად გრძნობდა თავს. რამაზი ხომ იმპროვიზაციის დიდი ოსტატი იყო, მაგრამ იმპროვიზაციის მრავალი ოსტატის უინტერესო საათები მინახავს, რადგან იმპროვიზაცია ნიჭია, რომელსაც დიდი შინაგაგანი კულტურა და განათლება აქცევს ხელოვნებად. როცა ეს ერთობლიობა არ არის... რამაზ ჩხიკვაძე კი, გარდა იმისა, რომ ნიჭიერებით აღვსილი გახლდათ, იყო უაღრესად განათლებული. მისი იმპროვიზაცია დიდ ცოდნა-განათლებას ეყრდნობოდა. ეს კი მის დიდებულ ნიჭს კიდევ უფრო ასხივოსნებდა.

* * * * *

ქ-ნი ნატაშა ხშირად საუბრობდა საფესახო აგადის თაობაზე, იგონებდა თუ რას აკეთებდა მისი ბებია ფესახის დღეებში. ადრე თბილისში ჩამოსულ რომელიღაც შალიახის მიერ ჩატარებულ აგადას დასწრებია, არცთუ საინტერესო იყოო. მივხვდი: მას ძლიერ ეწადა რამაზი დასწრებოდა აგადას, რამაზი კი ხალხმრავალ, საჯარო აგადაზე არ წავიდოდა, უცხოთა შორის უხერხულად იგრძნობდა თავს.

მე ტრადიციულად, ყოველ წელიწადს ჩემს ოჯახში ვატარებ აგადას. მადლობა ღმერთს, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ისრაელში ქართულ ენაზე შესანიშნავი სააგადო წიგნები გამოიცა, მანამდე კი რემენგტონზე გადაბეჭდილი ტექსტით ვსარგებლობდი.

და აი, 2008 წლის ფესახის პირველი აგადის ღამეს ჩემს ოჯახში აგადაზე მოვიწვიე ქ-ნი ნატაშა, ბ-ნი რამაზი, „სოხნუთის“ წარმომადგენელი საქართველოში, ჩინებული ინტელიგენტი გრიგოლ ბროდსკი მეუღლითურთ, ჩემი ძმა მალხაზი ყოველი აგადის განუყრელი მონაწილე გახლდათ.

ქ-ნი ნატაშა ძალიან ხარობდა იმით, რომ აგადას ესწრებოდა. გრიგორი ბროდსკისთან, მის მეუღლესთან ურთიერთობამ ერთობ შინაურულ წრეში აგრძნობინა თავი. ისინი იდიშზეც ლაპარაკობდნენ.

მაგრამ სამწუხაროდ, სიხარულს ვერ ეწია – აგადა დავიწყეთ თუ არა, თავი ცუდად იგრძნო, არტერიულმა წნევამ შეაწუხა. იმდენად ცუდად შეიქმნა, ჩემმა მეუღლემ საძინებელ ოთახში გაიყვანა და წამლები დაალევინა. ასე რომ აგადის დიდმა ნაწილმა ნატაშას გარეშე ჩაიარა. ცხადია, ამან რამაზის გუნება წაუხდინა, მაგრამ ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის თემამ, „ათმა ცემულობამ“ ძლიერ დაინტერესა და განუწყვეტლივ სვამდა შეკითხვებს. ამ შეკითხვებს ხან გრიგორი ბროდსკი, ხან— მე ვპასუხობდით. მოგვიანებით, მისი ყურადღების ცენტრში, სუფრაზე მაცის, ძმრის, „ხარამზეთის“ არსი მოექცა. მოგვიანებით ქ-ნი ნატაშა მაინც შემოგვიერთდა და ბავშვობის წლების აგადები გაიხსენა.

* * * * *

2011 წლის აგვისტო. ბათუმთან ახლოს, ბობოყვათში, ვისვენებდით, ქ-ნმა ნათელა პატარკაციშვილმა დაგვირეკა წუხელ პრაღაში ნატაშა გარდაიცვალაო.

რამაზი უკვე ძალიან მძიმედ იყო, ნატაშა კი რამაზს წინ გაუძღვა, რათა იმქვეყნად მისთვის ისევე შეექმნა ჩინებული პირობები, როგორც ამქვეყნად უქმნიდა.

ყოველი ადამიანის სიცოცხლე სიკვდილის წინადღეა. ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამქვეყნად დარჩენილთ მუდამ სტკივათ გული წასულთა გამო, – ჩვენ ხომ მთელ ქართულ კულტურასთან ერთად დიდი ქართველი მსახიობი, უზარმაზარი თეატრალური მოღვაწე, ჩვენი დიდი მეგობარი ოჯახიც დავკარგეთ.

დრიუ ბერიმორი იუდეველი ხდება

მსახიობი დრიუ ბერიმორი, რომელიც ცოტა ხნის წინ დაინიშნა მსახიობ იული კოპელმანზე, რწმენას იცვლის. ვარსკვლავი იუდაიზმის მიღებას აპირებს, რადგან მისი საქმროც სწორედ ამ რელიგიის მიმდევარია.

იმისათვის, რომ წყვილი დაქორწინებულიყო, ერთ-ერთ მათგანს რწმენა უნდა შეეცვალა. ასეთ მსხვერპლზე სწორედ დრიუ წავიდა.

დრიუს ახალ რელიგიასთან დაახლოებაში ახლო მეგობარი ადამ შანდლერი დაეხმარება, რომელიც წარმოშობით ებრაელია. გარდა იმისა, რომ ადამი მას იუდეველთა ტრადიციებს გააცნობს, ის დრიუს ებრაულ ქორწილში ხელის მომკიდეც იქნება.

დრიუ ბერიმორი და იულ კოპელმანი შვილების გაზრდას ებრაულ ყაიდაზე აპირებენ.



1-3. ახალი წელი გურიაში.
2-5. ისტორიული ოლქი ესპანეთში.
4-7. რომაულ მითოლოგიაში ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის ღვთაება.
6-8. ხილის გაზიანი უალკოჰოლო სასმელი.
9-11. ჩვენი გაზეთი.
10-13. ხალხური სიმღერებისა და ცეკვების თემებზე დაწერილი ინსტრუმენტული ნაწარმოებები.
12-14. გახსნილ ნივთიერებათაგან კოლოიდების გამოყოფის ხერხი.
15-16. ჩვენი ისტორიული სამშობლო.
17-19. ზანგების სიმებიანი საკრავი.
18-21. მუშაობის საზომი ერთეული.
20-23. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა უჯრედშორის სივრცეებში.
22-25. გერმანული ლეგენდის გმირი - სწავლული, რომელმაც კავშირი შეკრა მეფისტოფელთან.
24-26. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი.
27-29. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში.
28-31. თბილისის ფეხბურთელთა გუნდი.
30-33. უხერხემლო რბილსხეულიანი ცხოველი.
32-34. ბილიარდის სათამაშო ჯოხი.
32-35. ცნობილი საბჭოთა ილუზიონისტი.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003